




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 31

2016 წლის 4 აპრილი



ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 მარტის "შპს "რეფერალური დახმარების ცენტრისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" N28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს 2016 წლის 21 მარტის №28 საკრებულოს განკარგულებით მიღებული აქვს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, რუსთაველის ქუჩა №38-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ 69.08.63.065) პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი 7 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ხელოვნური თირკმლის ამბულატორიისა და სამედიცინო მომსახურების პუნქტის გახსნის მიზნით, გადასცეს შპს „რეფერალური დახმარების ცენტრს“ (ს.კ 401946784). ინდივიდუალური აუდიტორის ლია ცუცქირიძის 2016 წლის 1 აპრილის № 30/05-1 აუდიტორული დასკვნით მოხდა იჯარით გადასაცემი ქონების ქირის ოდენობის დადგენა. შესაბამისად, საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 მარტის №28 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და ფასის განსაზღვრა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე და ინდივიდუალური აუდიტორის ლია ცუცქირიძის 2016 წლის 1 აპრილის № 30/05-1 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:


შევიდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 მარტის "შპს "რეფერალური დახმარების ცენტრისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" №28 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩა №38-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ 69.08.63.065) პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი 7 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ხელოვნური თირკმლის ამბულატორიისა და სამედიცინო მომსახურების პუნქტის გახსნის მიზნით გადასცეს შპს „რეფერალური დახმარების ცენტრს“ (ს.კ 401946784) და უძრავი ქონების ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 220 (ორასოცი) ლარის ოდენობით“.

2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე